ხელშეკრულება №59

ქ. თბილისი 3 ნოემბერი 2014წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი აპარატის უფროსის რევაზ გერგედავას სახით და მეორე მხრივ შპს „სი-ტი პარკ"-ი (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავ სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის KIA (CORENTO) სახელმწიფო ნომრით AB-050-BA ექვსთვიანი პარკირების (ავტოსადგომების მომსახურებები cpv კოდი: 63712400) საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 1 (ერთი) ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის ექვსთვიანი პარკირების საფასური შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი ექვსი თვის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით,

უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: ჯ. ლეთოდიანი, ა. გუნჯუა, ზ. გახარია.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო საიდენტიფიკაციო კოდი 249250484 ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №16 ტელ: 237 44 16 ს.ს. "პრივატბანკი" ბანკის კოდი: CAVOGE22 ა/ა № GE84TP0034080020000326 ---------- აპარატის უფროსი რ. გერგელია	შპს „სი-ტი პარკ" საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 224 44 41 ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45 ---------- გენერალური მენეჯერი ბ. ლაჰაე